აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
15 ივლისი, 2021

დადგენილება №41(20/21)

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების შესახებ

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების წახალისების მიზნით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ადგენს:

1. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდეს აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიებისთვის ფულადი ჯილდოს გამოყოფა.

2. ჯილდო გაიცემა აწსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალის ავტორობით/თანავტორობით უნვიერსიტეტის სახელით გამოქვეყნებულ სტატიაზე სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბიბლიომეტრიულ ბაზებში,ამასთან პუბლიკაციის ავტორის/ავტორების მიერ წლიური სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის შესრულება, სტატიის გამოქვეყნების პერიოდში მიმდინარე სასწავლო წელს უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1250 სთ-ს.

3. ჯილდო განისაზღვროს 2500 ლარით. იმ შემთხვევაში, თუ სტატია გამოქვეყნებულია თანავტორობით, მაშინ ჯილდო გაიცემა პროპორციულად ავტორთა რაოდენობისა (შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ორი ავტორია მაშინ უნივერსიტეტის წარმომადგენელი მიიღებს ნახევარს, თუ სამი მესამედს და ა.შ.).

4. ჯილდო შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთხელ. ჯილდოს გაცემა ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისა და კვლევის განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრის ერთობლივი წარდგინებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.

5. ჯილდოს მიმღებს არ აქვს უფლება იგივე სტატიისთვის მიიღოს უნივერსიტეტიდან რაიმე სხვა ფინანსური თანხა (შრომის ანაზღაურება და სხვა).

6. ეთხოვოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს განიხილოს წინამდებარე გადაწყვეტილება და მიიღოს შესაბამისი დადგენილება აბ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

7. გადაწყვეტილება ძალაშია 2021 წლის ივლისიდან. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ოფიციალური ვებ-გვერდზე და გამოიკრას ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.გადაწყვეტილება შესასრულებლად გადაეცეს საფინანსო სამსახურს, ფაკულტეტებს და შესაბამის დაინტერსებულ პირებს.

8. გადაწყვეტილება მოქმედებს და ძალაშია 2021 წლის 31დეკემბრამდე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი